№ 19
ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 19
ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი

თავადი ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილი, კნ. ეკატერინე ბესარიონის ასული ამილახვარისა, კნ. ნინო ელიზბარის ასული ფავლენიშვილისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—დედისა, ხოლო უკანასკნელი—დედამთილისა

კნ. ელენე ფავლენიშვილისას.

მიცვალებულს დაასაფლავებენ, ხუთშაბათს, 28 იანვარს, სოფ. ზემო-ნიქოზში. (1—10—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 იანვარს,

ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა

ქართულის დრამატიული საზოგადოების დასისაგან, ქ-ნ ე. მესხის და ქ. ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

პირველად ახალი პიესა

კონსტანტინე ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

ქ. ქუთაისი
ე ქ ი მ ი
ნ. გ. ჭიჭინაძე
იღებს ავადმყოფებს
(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).
დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—ნ.—5)

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5 დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—4)

ტფილისი, 26 იანვარი

გაზეთ „Кавказъ“-ში (№№ 18 და 19) ბ-ნმა ნიკოლაძემ ორი ფრიად საბუთიანი და შესანიშნავი წერილი დაჰბეჭდა. ამ წერილებში მან, როგორც თითქმის ყოველთვის, რაც კი დაუწერია, ქეჩოში სტაცა ხელი იმისთანა საგანს, რომელიც მორიგი ჭირ-ბოროტია და მწვავი ჭირ-ბოროტიც დღევანდელის დღისა და დიდი სატკივარია ჩვენებურ ქალაქების მკვიდრთათვის. იგი შეეხო საკუთრივ იმ წესს-რიგს, რომელიც აწ სუფევს ქალაქის თვით-მართველობის დებულებაში და ეკუთვნის ხმოსანთა არჩევანების საქმეს.

ბ-ნმა ნიკოლაძემ საფუძვლიანად და გარკვევით აღნიშნა, რომ ხსენებული დებულება ერთის წყობის ქალაქის მკვიდრთათვის დედაა და სხვა წყობისათვის დედინაცვალი. ამისი მიზეზი ის არისო, რომ ხმოსანთა არჩევანები, დებულების წყალობით, მარტო იმათ ხელშია, ვინც პირველის და მეორის გილდიის ვაჭარია და ვისაც ქალაქში სახლები აქვს, ისიც ყველა არა, მარტო პატრონები მომსხო ფასის სახლებისაო. სხვა, ხშირად კარგად მოზრდილი ნაწილი უქონებელთა და შეუძლებელთა მკვიდრთა წრეს გარედ დარჩენილნი არიან და იძულებულ ქმნილნი პირში შეჰყურონ შეძლებულთა ხმა ამოუღებლად, იქნება თვით-მართველობის ნადიმისაგან ნასუფრალი მაინც რამ გვარგუნონ, ან გვიწყალობონო. ამ სახით შეუძლებელს და უქონებელს მოქალაქეს არავითარი გზა და სახსარი არა აქვს თავისი ჭირი და ბოროტი სთქვას და ამით მოახედოს თავისს სვე-ბედზე იგი კრებული ქალაქის წარმომადგენელთა, რომელიც უმაღლესი გამგებელია ქალაქის საქმეთა და კანონის მიერ მომჰირნედ მოწვეულია მკვიდრთა საკეთილდღეოდ. ასეთი გარიყვა უქონებელისა და შეუძლებელისა მით უფრო დიდი უსამართლობაა, რომ იგიც ხარჯს იხდის ქალაქისათვის, იგიც ემსახურება ასე თუ ისე ქალაქს და ამ გზით ქალაქის საერთო ქონებაში წილმდებარეა და ღონისძიება-კი ჩამორთმეული აქვს თვალ-ყური ადევნოს, ანგარიში განიკითხოს სად და როგორ იხარჯება ქალაქის საერთო ქონება, ვისს სცხელა მისგან და ვისს სცივა. მდიდარი და შეძლებული ირჩევს ხმოსანსა, ამ გზით არჩეული ხმოსანი განაგებს ქალაქის საქმეებს, ვითარცა ვექილი მდიდრისა და ვინ არ იცის, რომ გამაძღარი ყოველთვის წვრილად უფხვნის ხოლმე მშიერსა და აქედამ ის გამოდის, რომ ერთის წყობის მკვიდრთა ბამბაც ჰჩხრიალებს და სხვა წყობისა-კი არც კაკალი.

ასეთი წეს-რიგი საზოგადო სენია ერთობ ქალაქთა თვით-მართველობის დებულებისაო მთელს რუსეთში, ამბობს სამართლიანად ბ-ნი ნიკოლაძე, ხოლო ჩვენში ამას ზედ-ერთვის სხვა მეორე სენიცაო, რომელიც ჩვენს საკუთარს სატკივარს შეადგენს და ამიტომაც იგი საზოგადო სენი დებულებისა ჩვენში უფრო მწვავეა და საგრძნობელიო. რუსეთში უფრო-ერთი ქალაქები დასახლებულნი არიან თითქმის ერთისა და იმავე თესლის მკვიდრთაგან. იქ თუ ამ დებულების წყალობით ერთი ნაწილი იჩაგრება მეორისაგან, ისევ რუსი რუსისაგანაო. თუმცა ჩაგვრა ერთისა მეორისაგან არსად სასურველი არ არის, მაგრამ იქ ეს ჩაგვრა სატკენია და არა საწყენი. სულ სხვა არის ჩვენშიო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე. ჩვენში ქალაქები სხვა და სხვა თესლის მკვიდრთაგან არიან შემდგარნიო. ზოგნი იმათგანი მოსულნი და შემოხიზნულნი არიან და აღებ-მიცემობას, ვაჭრობას ეწევიან, და ზოგნი ადგილის ბინადარნიო. ამიტომაც ქალაქის თვით-მართველობის საზოგადო ნაკლულოვანებას აქ ჩვენში ერთი სხვა განსაკუთრებული ჭირიც მოსდევსო. თუ სხვაგან კლასთა ბრძოლა ერთად-ერთი მიზეზია, რომლის გამოც ერთი კლასი ერთ კრებულად ჰმოქმედებს და მეორე მეორე კრებულად, აქ, ჩვენში, ეროვნული სხვა-და-სხვაობაც ზედ ემატებაო და აძლიერებს უამისოდაც გაძლიერებულს ცეცხლსაო. ამ სახით ბ-ნ ნიკოლაძეს ეროვნული სხვა-და-სხვაობა თითქმის პირველ მიზეზის ზედ-ნადებად მიუჩნევია ჩვენში. ჩვენ ამაში ბ-ნ ნიკოლაძეს ვერ დავეთანხმებით.

ჩვენის ფიქრით, ეროვნული სხვა-და-სხვაობა ერთად ერთი მიზეზია იმ განხეთქილებისა, რომლის გამოც დღეს, მაგალითებრ, ტფილისში თვით-მართველობა მარტო სომხებსა აქვთ დაჩემებული და სხვა თეს-

ფელეტონი

საქართველოს მეფე წმ. დავით აღმაშენებელი

(† 1089—1125 წ.წ.)

(შემდეგი *)

დაახლოვებით 1073 წელს საქართველოს მეფეს გიორგი მეორეს მიეცა ძე, რომელსაც სახელად უწოდა დავითი... ჩვენ დაბეჯითებით არ ვიცით, ვინ იყო დავითის დედა... და ან რა გავლენა ჰქონდა მას შვილის ხასიათის შემუშავებაზედ...ვიცით მხოლოდ, მას ზრდიდა შესანიშნავი მთავარ-ეპისკოპოსი გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც დავითს ბიძად მოხვდებოდა დედის მხრივ...

ჭყონდიდლობა დიდი თანამდებობა იყო საქართველოში... ჭყონდიდელი ითვლებოდა სახალხო განათლების გამგედ და განათლებისა და მეცნიერების მფარველად. იგივე იყო მფარველი ობოლთა და ქვრივთა და იმათთვის მეფის წინაშე შუამდგომელი. ჯარს ჭყონდიდელი ჯვრით წინ მიუძღოდა; მან მშვენივრად იცოდა სამხედრო წეს-რიგიც... დავითს თვისი აღმზრდელი ძლიერ უყვარდა, ენდობოდა მას, თან დაჰყავდა ის ყოველგან, მისმა გარდაცვალებამ ძლიერ დაანაღვლა იგი, მისი გვამი დიდის პატივით დაასაფლავა გელათის მონასტერში.

მთავარ-ეპისკოპოსის გიორგის ხელმძღვანელობით დავითმა მიიღო თავის დროის შესაფერი განათლება. ამასთანავე აღმზრდელმა გააცნო საფუძვლიანად მომავალს მეფეს სავალალო მდგომარეობა ქართველის ხალხისა, მისნი მრავალ-გვარნი საჭიროებანი, გააცნო ასეთის მდგომარეობის მიზეზებიც და უჩვენა საშუალებანი აღსადგენად და აღსაყვავებლად საქართველოში სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობისა. ახალგაზდა დავითის თვალთ წინ ჰხდებოდა საშინელი და საზარი სისხლის ღვრა, მას ესმოდა ტირილი და გლოვა დაჭრილთა თათრებთან ომებში. ესმოდა ტირილი და გლოვა ცოლთა, რომელთ ქმრები ომებში დაიხოცნენ, ბავშვებისა, რომელთ მამანი ბრძოლის ველს მიიცვალნენ, დებისა, რომელთ ძმებმა იქვე იგემეს მწარე, მაგრამ სახელოვანი სიკვდილი. ყველგან ლაპარაკობდნენ თათრების უსამართლობისა და ვერაგობის ამბავს. საქართველოს ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ ძლიერ იმოქმედა ცოდნის-მოყვარე დავითის სულსა და გულზედ.

მთავარ-ეპისკოპოსის გიორგის შთაგონებით ჭაბუკს დავითს შეუმუშავდა და განუმტკიცდა ის რწმენა, რომ მან, როგორც საქართველოს მომავალმა მეფემ, უნდა აღადგინოს საქართველოს დაცემული სარწმუნოება და ზნეობა...

საქართველოს თანამედროვე უნუგეშო მდგომარეობამ და აღმზრდელის ზედ გავლენამ ჩაუნერგა მას მტკიცე და შეურყეველი გრძნობა ცხოველის სარწმუნოებისა... ამ გრძნობით ის მაღლა სდგას საქართველოს ყველა მეფეებზედ.

ტყუილად-კი არ ამბობს ბერი არსენი თვისს შესხმითს სიტყვაში დავითის შესახებ შემდეგს მშვენიერს და საგულისხმო სიტყვებს: „დავით მეფე კაცთ-მოყვარე არს, ვითარცა ჩემი ესე ღმერთთა შორის, მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მკვარცხლე, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის. სახის დასაბამ უცდომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვით-მპყრობელთა შორის. სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდოსე სკიპტრის მპყრობელთა შორის“.

აღმზრდელ-მასწავლებელმა გააცნო დავითს ისტორიული მოწოდება ქართველის მეფეებისა, რომელიც ავალებდა მათ დაეცვათ, განემტკიცებინათ და გაევრცელებინათ მართლ-მადიდებელი ქრისტიანობა. მანვე სასაფუძვლიანად შეასწავლა დავითს მართლ-მადიდებლობითის სწავლის დოღმატები და მისი განსხვავება სხვა სარწმუნოებითთა სწავლათაგან. სარწმუნოებითი გრძნობა ახალგაზრდა მეფის ძისა ჰპოულობდა უხვად საზრდოს საეკკლესიო და საისტორიო-ფილოსოფიურს ნაწერებში, რომელნიც იმ დროს გავრცელებული იყვნენ საქართველოში. ვინაიდგან დავითმა მიიღო სარწმუნოება-ზნეობითი განათლება, ის არ იცნობდა თანამედროვე შექცევას და საერო სიმღერებს და გართობათა, რომელთაც მაჰმადიანთა ზედ გავლენით ცხადად ემჩნეოდათ ბეჭედი უკიდურესის გარყვნილებისა. ეს სიმღერანი შეაქებდნენ ქალთა სილამაზე-სიკეკლუცეს, შესტრფოდნენ ღვინოს და სიამოვნებას, გააძლიერებდნენ ხორ-

---

*) იხ. „ივერია“ № 18.

ლის კაცი-კი გამოდევნილია. ის ორიოდე სხვა თესლის კაცი, რომელიც დღეს ხმოსნად არის საბჭოში, ანგარიშში მისაღები არ არიან, რადგანაც იგინი მარტო სომხების რჩეულნი არიან. თუ მართლა მარტო ეროვნული მიკერძება არ არის ერთად-ერთი მიზეზი, მაშ რამ მოუყარა თავი ერთად ტფილისის საბჭოში მარტო ერთის თესლის კაცებს და სხვანი-კი გარიყა? თუ აქ გამარჯვებულია მესამე წოდება, ესე იგი, ბურჟუაზია მეოთხე წოდებაზე, ესე იგი, მუშებზე, ნუ თუ გარიყულ თესლის მკვიდრთა შორის სულ ყველანი ხელ-აღებით მარტო მუშები არიან და სხვა არავინ იმისთანა, რომ სომხობის ბურჟუასთან ჰღირსებოდა ჯდომა და ბჭობა ქალაქის საბჭოში? თუ აქ უპირველესი მიზეზი კლასთა ბრძოლა იყო და არა მარტო ეროვნული განკერძოება, აბა ერთი იმისთანა მაგალითი გვიჩვენეთ—დაგვანახოს, რომ აი ეს კლასი ამ კლასს ებრძოდა, აბა ეს კლასები დაგვისახელეთ. თუ ამას იქმთ და დაამტკიცებთ, მაშინ ჩვენც თავს დავუკრავთ კლასთა ბრძოლის ჩვენში მობძანებას და ჩვენს დამარცხებას არჩევანებში სატკენად მივიღებთ და არა საწყენად.

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ამ მხრით სიტყვა შეგვებრუნებინა ბ-ნ ნიკოლაძისათვის და სრულებით აზრად არა გვქონია ამ საგნის გამოძიებას უფრო ვრცლად შევდგომოდით, მით უფრო, რომ ხსენებულ საგნის ასე თუ ისე გამორკვევა არ უშლის იმ სამართლიანს დასკვნას, რომელიც ბ-ნ ნიკოლაძეს სახეში აქვს და რომელსაც ჩვენ მთლად თანავუგრძნობთ. ხოლო ჭირს დამალვა არ უნდა და გვგონია რაც ვთქვით, ამით საბუთს-კი არ ვუსუსტებთ ბ-ნ ნიკოლაძეს, არამედ ვუძლიერებთ, რადგანაც სატკენი ისე არ აფიცხებს კაცს სამტროდ, როგორც საწყენი. საწყენი უფრო ძნელი ასატანია სატკენზედ და ამიტომაც უფრო აფთარია, რაკი გაცეცხლდება და გეფიცხდება.

ასეა თუ ისე აწ არსებული დებულება ქალაქის თვით-მართველობისა, ბ-ნ ნიკოლაძის საბუთიან აზრით, ხელს უწყობს ჩვენში ერთის თესლის მკვიდრთა წყობას თავისად გამოიყენოს მთელი სიკეთე ქალაქის თვით-მართველობისა, თუ რიცხვით და შეძლებით მეტია, და სხვა თესლის მკვიდრთა წყობანი კი ცარიელზე გაჰყავს, რაც გინდ საგრძნობელ რიცხვს მოქალაქეებისას წარმოადგენდნენ, თუმცა კი პირველზე უმცირესს. ეს მეტის-მეტი უსამართლობაო, ამბობს ბ ნი ნიკოლაძე, და მართალიც არის. ხოლო ბ-ნი ნიკოლაძე, როგორც კარგად მიხვედრილი და გონება-გახსნილი კაცი, უსამართლობას იმაში-კი არა ჰხედავს, რომ ამ შემთხვევაში უმეტესობას ეძლევა თვით მართველობა ხელში, არამედ იმაში, რომ ჩვენებურ ქალაქებში სხვა თესლის მკვიდრნი, ვითარცა უმცირესი ნაწილი მოქალაქეთა, უნუგეშოდ და უპატრონოდ დატოვებულნი არიან და ქალაქის საქმეებში არც საკუთარი ხმის ამომღებელი ჰყავთ, არც გამკითხავი და არც თვალ-ყურის მადევნებელი. დეე ისევ უმეტესობამ განაგოს ქალაქის საქმეებიო, დეე ისევ უმეტესობამ უმეტესობა იყოლიოს საბჭოსა და გამგეობაშიო, ხოლო თვით-მართველობის საფუძვლად ერთი სხვა დედა-აზრიც უნდა დაიდვას, რომელიც ამბობს, რომ ყველას თავისი მიეზომოსო და ამ სახით დიდთან პატარაც, ბევრთან ცოტაც ხმა ამოღებული იყოს, თავისის ჭირ-ბოროტის გამომთქმელი და ქალაქის საერთო ქონების თვალ-ყურის მჭერელიო.

მართალია, უმრავლესობით გამგეობა და განჩინება საქვეყნო საქმეთა ერთად-ერთი სახსარია, რომ წესი და რიგი დაიდვას კაცთა ურთიერთობისა, ხოლო იგი იმისთანა უცოდველი და უცდომელი კრებული არ არის, რომ ყველამ თავისი ავი და კარგი განუკითხავად, ხმა-ამოუღებლად და თვალ-უდევნებლად მიანდოს. სწორედ ამ საზრისზედ არის დამყარებული ეხლანდელი მოძრაობა განათლებულ ქვეყნებში, რომ უმცირესობა ხმა ამოუღებლად, განუკითხავად, უნებურად არ ეძლეოდეს ხელში უმრავლესობას და იმასაც გზა ჰქონდეს თავისის ლარისა და ხაზის გატანისა, თავისის ინტერესების მოვლისა და პატრონობისა, რაოდენადაც შესაძლო და შესაწყნარისია. ტყუილად-კი არ ამბობენ დაწინაურებულნი კაცნი, ამ საზრისით შეპყრობილნი, რომ ხმა კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოსო და თუ შესაძლებელია ოდესმე აწონვამ ამ შემთხვევაში ფეხი მოიკიდოს და თვლაზე გაიმარჯვოს, მაშინ, ვინ იცის, სიკეთე და მართალი ზოგჯერ რომელ მხარეზე მოექცევა. მინამ კაცობრიობა მიაგნობს სახსარს ამ აწონვისას, ბევრი წყალი ჩაივლის კიდევ და ეხლა-კი სასურველია, რომ უმცირესობა ხმა ამოუღებლად, უმონაწილეოდ არ დარჩეს იქ, საცა უმრავლესობა განაგებს და სწყვეტს სხვათა შორის უმცირესობის სვე-ბედის საქმეებსაც.

თუ ეს უმცირესობის არ-გამოკლება საქვეყნო საქმეების გამგეობისაგან უსამართლობაა სხვაგან, საცა ერთისა და იმავე თესლისანი არიან, ჩვენში უფრო დიდი უსამართლობაა, რადგანაც აქ თესლთა სხვა-და სხვაობას ბრძოლის მოედანზედ უპირველესი ადგილი უჭირავს და ამიტომაც ჩვენში ბრძოლა უფრო გაკაპასებულია და გაბრაზებული. ამას ბოლო უნდა მოეღოს, დასაწყნარებელი წამალია საჭირო. ამ წამალს გვაწვდის ბ-ნი ნიკოლაძე. მიეცით თვითეულ თესლის მკვიდრთა იმდენი ხმოსანი იყოლიოს ქალაქის საბჭოში, რამდენიც შეხვდება მისის რიცხვის კვალობაზეო. თუ, მაგალითად, ათასს მკვიდრზე ერთი ხმოსანი მოდის დებულების ძალით, თვითეულ თესლის მკვიდრთ იმდენის ხმოსნის არჩევის ნება მიეცით, რამდენი ათასიც თვითონ არისო. „საჭიროა, ამბობს დასასრულ ბ-ნი ნიკოლაძე: რომ სარბიელი საზოგადოების ცხოვრებისა, საზოგადოების კუთვნილება და საზოგადოების მოქმედება გამიჯნულ იქმნას კანონის მიერ, რომ არავინ იყოს მოკლებულ კანონიერ უფლებას და მხვედრს წილს საზოგადო საქმეთა გამგეობაში, რომ ყველას ინტერესი ისე იყოს წმინდად და მტკიცედ შემოზღუდული და დაცული საზოგადოებურ ცხოვრებაში, როგორც ცალკე მოქალაქურ ურთიერთობაში იცავს და ჰთავდებობს თვითეულის კუთვნილებას იგი დედა-აზრი, რომელიც ჰღაღადებს: „თვითეულს თავისიო“...

ეს აზრი და სარჩიელი აქამდინაც თქმულა, მაგრამ ბ-ნ ნიკოლაძის სასახელოდ ის უნდა ვთქვათ, რომ მისებრ საბუთიანად, გარკვევით და სარწმუნოდ ჯერ არავის არ გამოუთქვამს. თვითონ ბ-ნი ნიკოლაძეც ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ ეხლაც იმას იმეორებს, რაც არა ერთხელ წინად მითქვამსო, მაგრამ „ლურსმანს ვერ ჩასჭედავს კაცი კედელში, თუ არ ზედი-ზედ ჩაქუჩის ცემითაო“.

რა თქმა უნდა, რომ არავისს გარეშე კაცს, არც ცალკე კრებულს რომელისამე თესლის მკვიდრთა, არც ერთად თავ-მოყრილ კრებულებს არავითარი ღონისძიება არა აქვთ ეს სარჩიელი ბ-ნის ნიკოლაძისა საქმედ აქციოს. ამისი უფლება და ნება მარტო კანონ-მდებლობის ხელშია და ბ-ნი ნიკოლაძეც კანონს იწვევს სასურველი ცვლილება შეიტანოს დებულებაში, რათა თვითეულს თავისი არგუნოს და უმრავლესობამ ერთის თესლისამ ყურმოჭრილ და ხმა ამოუღებელ ყმად არ გაიხადოს უმცირესობა მეორისა. რასაკვირველია, აქაური წყალ-წყალა პუბლიცისტები, სხვის ნაღეჭის კვეის მღეჭავნი, ბ-ნ ნიკოლაძეს უკიჟინებენ აი „გოროდოვოის ეძახისო“, ან სარჩიელს დაუწუნებენ იმ აზრით, რომ აი უფლებას უმრავლესობისას ჰხუთავსო, მაგრამ ყოველივე ეს ბუზების ბზუილია და, ხომ მოგეხსენებათ, ყოველი ბუზი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა სტყუის.

ვისაც მკვიდრთა სამშვიდობოდ ჩვენებურ ქალაქების გამგეობა ანუ, მოკლედ ვთქვათ, თვით მართველობა სწორესა და მართალს გზაზე ჰსურს დააყენოს და მით დააწყნაროს სხვა-და სხვა თესლთა შორის გაკაპასებული და გაბრაზებული ბრძოლა, რომელსაც საგნად აქვს ან მე, ან შენ და ორივენი ერთად-კი ნუო, ერთად-ერთი სახსარი, სამართლიანი და საბუთიანი, იმა წესისა და რიგის გაკანონებაა, რომელსაც ბ-ნი ნიკოლაძე გვირჩევს და რომელსაც საგნადა აქვს, რომ წარმომადგენელობას უმრავლესობისას გვერდით ედგეს პროპორციონალური წარმომადგენელობა უმცირესობისა. ბ-ნ ივანოვიჩს და სხვათ მისთა მგზავსებს, რასაკვირველია, ეს არ მოეწონებათ. ბ-ნი ივანოვიჩი იმ ბანაკს მიეკედლა, რომელიც ისარს ისვრის და მშვილდს-კი ჰმალავს. გარდა ამისა იგი ბედის მძებნელი კაცია და სრულის სამართლით შეუძლიან სთქვას:

რას ჰქვიან აწ ბედი,
ყრმა ვიყავ, დავბერდი,
ჯერ ვერ მიცვნია.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ 24 იანვარს, „ტფილისის“ კრუჟოკში ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის კნ. ა. ა. ამილახვრის მიერ საცეკვაო საღამო იქმნა გამართული ამ საზოგადოების სასარგებლოდ. საღამოს დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე და მრავალი ხალხი.

⁂ აზრადა აქვთ გააუქმონ ამიერ-კავკასიის სსტატისტიკო კომიტეტი და იმის ნაცვლად, როგორც გაზეთები იუწყებიან, დააარსონ კავკასიის ყველა გუბერნიაში განსაკუთრებული სსტატისტიკო კომიტეტები.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ბეითალი კრიდნერი დანიშნულ იქმნა კავკასიის საბეითალო ინსპექტორის თანაშემწედ.

⁂ კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ცნობების მიმცემ და საკომისიო ბიუროსთან დაარსებულ იქმნა საბჭო, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ რჩევა-დარიგებანი ბაღოსნობის შესახებ. ამისათვის ბიურო გაღებული იქნება ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე. მსურველთ უნდა მიჰმართონ ბიუროს მორიგ წევრს ბ-ნს კლაუსენს.

⁂ ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებამ უკანასკნელს კრებაზედ დაადგინა დაავალოს მკურნალებს ყოველ დღე გასინჯონ ხოლმე ის ბავშვები, რომელნიც ბავშვთა პირველ თავშესაფარში არიან. მკურნალები გასინჯავენ თავ-შესაფრის ბავშვებს გარდა აგრეთვე სხვა ბავშვებსაც, რომელთაც მიიყვანენ თავშესაფარში დანიშნულ დროს.

⁂ 23 მარტისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე ბათუმის ნოტარიუსისა ბ-ნ გრიელსკისა. გრიელსკის ის ბრალი ედება, რომ საპასუხო ქაღალდში, რომელიც ქუთაისის

ციელთა გულის თქმათა და მით ძირს უთხრიდნენ ქართველის ერის უმისოდაც ძირ-გამოთხრილს კეთილდღეობას და არსებობას. მათ ნაცვლად დავითმა სულითა და გულით შეიყვარა და შეიტკბო საეკკლესიო საგალობლები: თვით დავითმა, როგორც საღმრთო მგოსანმა, შეადგინა „სინანულის გალობა“, რომელიც განსჭვალულია სარწმუნოების ღრმა და წრფელის გრძნობით. უმთავრესი ძარღვი მისის ხასიათისა იყო შიში ღვთისა, რომლის მეოხებით მან, მემატიანეს აზრით, შეასრულა ბევრი სასახელო საქმე და მით ისახელა თავი ქვეყნად.

დავითს ღრმად სწამდა ღმერთი და ყოველს თვისს გამარჯვებას მტრებზედ მიაწერდა ღვთის განსაკუთრებულს მფარველობას. ხშირად იგი უვნებელი გამოდიოდა საშინელისა და ფიცხელის ომიდგან; ბევრჯელ ცოცხალი გადარჩენილა, სწორედ მაშინ, როდესაც კაცურის მოსაზრებით მოსალოდნელი იყო სიკვდილი. ერთხელ მტრებმა ზედიზედ სამი ცხენი მოუკლეს. ერთხელ მტრის ისარი, მის გულში დამიზნებული, მოხვდა მთავარ ანგელოზის ხატს, რომელსაც დავითი ატარებდა და სიკვდილს გადარჩა. მართლაც, ღვთის მარჯვენა იფარავდა სიკვდილისაგან ცხებულის სიცოცხლესა. ამას კარგად ჰგრძნობდა თვით დავითი და ამიტომ თითოეულის ომის შემდეგ იგი მადლობას შესწირავდა ღვთაებას. 1123 წელს, როდესაც დავითმა თათრებზედ გაიმარჯვა, ის დაემხო პირქვე და შესწირა მხურვალე მადლობა მოწყალე ღმერთს. დავითი სთვლიდა ღვთის-მშობელს ივერიის მფარველად და მცველად და ამისთვის იმისგან ნაბრძანები იყო, რომ ივერიის ღვთის-მშობლის ხატი ყოველთვის ჯარის წინ ეტარებინათ. თვით თათრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დავით მეფეს ზეცის ძალნი შველოდნენ და მათ შორის წმ. გიორგი ღვაწლით შემოსილი... დავითი სასტიკად და სინამდვილით აღასრულებდა ეკკლესიის ბრძანებას და დიდის მოკრძალება-მოწიწებით ეპყრობოდა ყოველს მისს მცნებას... ის დილის და საღამოს ლოცვებს არასოდეს არ დააკლდებოდა... დადიოდა ეკკლესიებში, რათა შეეტყო როგორს მდგომარეობაში იყო საეკკლესიო ღვთის მსახურება. ღვთის-მსახურების დროს დავითს არ გამოეპარებოდა არც ერთი მცირე ნაკლულევანება და შეცდომა სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთა და ამათ ნაკლულევანება-შეცდომათათვის ჯეროვანს შენიშვნას და დარიგებას აძლევდა. დავითს ნაყროვანება და ხორცის ფუფუნება სძულდა, იმას, მემატიანეს სიტყვით, უყვარდა მკაცრი მარხულობა, გრძელი ლოცვები და წმ. საიდუმლო ზიარების მიღება. ძლიერ უყვარდა საეკკლესიო მოღვაწეები და დიდს მფარველობას უწევდა იმათ.

გარს ეხვივნენ ისეთი შესანიშნავი სწავლული ქართველი გვამები, როგორნიც იყვნენ: მთავარ-ეპისკოპოსნი გიორგი და სიმეონ ჭყონდიდელნი, ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, თეოფილე, ფილოსოფოსნი იოანნე პეტრიწი ჭირჭიმელი და იოანნე ტაიჭისძე, ეს სხივ-ცისკროვანნი მნათობნი საქართველოს ეკკლესიისანი. დავით მათთან ხშირად საუბრობდა; უფრო-კი უყვარდა მას საუბარი სულის განსპეტაკება-განწმენდის და ცხონების შესახებ. იგი ერიდებოდა საერო შინაარსის სიმღერა გართობათა, სათამაშო ადგილებს და მხიარულებას; ყველგან და ყველაფერში მაღლა აყენებდა სულის შინაგანის სიკეთის მომცემს და განმაძლიერებელს საეკკლესიო გავლენას. თავ-გამეტებით სცდილობდა საეკკლესიო გავლენის დამყარებას და გამტკიცებას ქართველთა ცხოვრებაში, რომელსაც ემჩნეოდა ბეჭედი ზნეობითის სიწამხდრისა არაბთა და თათრების ზედ-გავლენის მეოხებით.

თვისი შვილები დავითმა საეკკლესიო სწავლა-მოძღვრებაში აღზარდა და სარწმუნოების ღრმა სიყვარული გულს ჩაუნერგა. სარწმუნოების და ეკკლესიის სიყვარულით გატაცებული იმის შვილი დიმიტრი ოცდაცხრა წლის მეფობის შემდეგ ბერად აღიკვეცა... დავითის ასული თამარი მოლოზნად შედგა და მოლოზნობაშივე გარდაიცვალა თვისის ქმრის სიკვდილის შემდეგ. იმისი ჯარი შესდგებოდა სხვა და სხვა ხალხთა წარმომადგენელთაგან, რომელნიც სხვა-და-სხვა ენებზედ ლაპარაკობდნენ. თავისუფალს დროს იმისი ჯარი ჰკითხულობდა სასულიერო შინაარსის წიგნებს.

დავითმა თვისს გაწვრთნილს ჯარში მოსპო საერო სიმღერანი, გართობანი, სახიობანი, უშვერის სიტყვების ხმარება და სხვა...

(შემდეგი იქნება)

ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისათვის მიურთმევია, ჩაურთავს ბათუმის გამომძიებლის თავ. ა. მ. ლორთქიფანიძის შეურაცხმყოფელი სიტყვები. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ბ-ნ გრიელსკის სამის თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯა.

⁂ 25 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ი. ა. თაიროვისა, რომელიც დავობდა, რომ ჩემს საკუთრებად იქმნას აღიარებული ნაჭერი მიწისა ვერაზედ სივრცით 20 ოთხ კ. საჟენი. ეს მიწა ამ ჟამად იჯარადარის ი. წამალაშვილის მფლობელობაშია. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის გადაწყვეტილება, რომლითაც თაიროვი მესაკუთრედ არის ცნობილი.

⁂ როგორც «ტფ. ფურ.» იუწყება, კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი პოლკოვნიკი პ. ფ. ფონ-პარკაუ გაგზავნილ იქმნა ქუთაისში, ქუთაისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის მდგომარეობის გასაცნობად.

⁂ დიდუბელების შუამდგომლობის გამო იმის შესახებ, რომ მუშტაიდი ლამპიონით არ დაიკეტოს ხოლმე, 24 იანვარს კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა როგორც მუშტაიდზედ დიდუბეში მიმავალი გზა, აგრეთვე ელისაბედის ქუჩის გაგრძელება.

⁂ როგორც „ტფ. ფ." იუწყება, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მეტი ფული იქმნას გადადებული კავკასიის ყველა გუბერნიის სახალხო სწავლა განათლების საქმის საჭიროებისათვის.

⁂ როგორც იგივე გაზეთი იუწყება, გზათა მინისტრის განკარგულებით ყარსის რკინის გზაზედ სად. კარაკლისამდე სახალხო მატარებლები სიარულს დაიწყებენ 29 ამა იანვრიდგან. მატარებელი ტფილისიდგან კვირაში ორჯელ გავა.

⁂ „ახ. მიმ." იუწყება, რომ ჩოხატაურის მომრიგებელ სასამართლოს გამგე ბ-ნი ჰეკარსკი, სენატის ბრძანებით, სამართალში იქმნა მიცემული იმის გამო, რომ განუხილავს რა საქმეები 1, აზნაურის ლოლობერიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა აზნაურის ქალის ანასტასია ლოლობერიძესათვის მოქმედებით უპატიურობის მიყენება და 2, გლეხის ივ. დოლიძესი და ვლ. ჟღენტისა, რომელთაც ხარის მოპარვა ჰბრალდებოდათ, და იცნო რა პირველ საქმეში ლოლობერიძე დამნაშავედ, სასჯელი „მომრ. მოსამარ. მიერ მისასჯელ სასჯელთა" წესდ. მე 133 მუხლის თანხმად გადაუწყვეტა და ამით დაარღვია იმავე წესდების 135 და 145 მუხლნი; ხოლო მეორე საქმეში დოლიძე და ჟღენტი დამნაშავეებად იცნო და თითოეულს თითო თვით საპატიმროში დაპატიმრება გადუწყვეტა, რომლითაც დაარღვია იმავე წესდების მე-169 და 170 მუხლნი.

⁂ კავკასიის მთავარ მართებელმა ნება დართო გადადებულ იქმნას 1,300 მანეთი კავკასიის სახეთალდო ინსპექტორის კანცელარიის შესანახად.

⁂ „ახ. მიმ."-ს სწერენ, რომ დაბა სოჭის ვაჭრებმა მიჰმართეს მთავრობას და სთხოვეს ნება მოგვეცით კვირა უქმე დღეებში ვავაჭროთო.

⁂ 22 იანვარს სოფელ აჭარაში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ბ-ნ ცაგარლის კომედია „ციმბირელი". წარმოდგენას მრავალი სოფლელი დასწრებია.

⁂ „Пет. Вѣд."-ი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროს წარედგინა დასამტკიცებლად „რუსეთ-კავკასიის მთამადნების მწარმოებელ საზოგადოების" წესდების პროექტი.

⁂ იმ კომისიამ, რომელსაც არხების გაყვანის საქმე აქვს მინდობილი, მოისმინა რა რიყის მცხოვრებთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ იქ არხი იქმნას გაყვანილი, დაადგინა რიყელების თხოვნა გადასცეს ქალაქის მოურავს და სთხოვოს, რომ იგი რაც შეიძლება მალე იქმნას წარდგენილი საბჭოში განსახილველად.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია საქმეების განსახილველად წავა: ქ. გორში 8 მარტს, დაჰყოფს 16 მარტამდე, ახალქალაქსა და ახალციხეს 18 მარტს, დაჰყოფს 3 აპრილამდე, თიონეთში 8—20 მარტამდე, ქ. თელავში 29 მარ.—10 აპრილამდე, სიღნაღში—23—29 მარტამდე და დუშეთში—23—31 მარტამდე.

⁂ 25 იანვარს, ღამე, ქალაქის მე-9 ნაწილის დუქნებსა, ტრაქტირებსა, ლუდხანებში და სხვაგან პოლიციამ შეიპყრო 27 კაცი, რომელთაც ბაშფორთი არ აღმოაჩნდათ.

⁂ ქალაქის მე-6 ნაწილში, 24 იანვარს, მტკვარში ჰნახეს ვიღაც ყმაწვილის გვამი. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

⁂ ქალაქის მე-7 ნაწილში მცხოვრებმა სოლომონ გურდანაშვილმა გამოუცხადა 24 იანვარს პოლიციას, რომ ჩემმა ძმისწულმა გიგო გურდანაშვილმა ყუთიდგან მოიპარა 8 კოვზი, ორი ალმასით მოჭედილი ქინძისთავი და სხვა ნივთები და სადღაც დაიმალაო.

⁂ გორიდგან სწერენ „ახ. მიმ."-ს, რომ სოფელ ზეგდულეთში 11 იანვარს ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს გლეხის შიო ცერცვაძის საბძელს. ზარალი 400 მანეთია.

⁂ შაბათს საღამოს, 23 იანვარს, ტფილ. ფერის-ცვალების ანუ დარიის მონასტრის ეკკლესიაში მწუხრის შემდეგ ცისკარზედ „დიდება მაღალისა"-ს გათავებისას მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა ბერად აღკვეცა დეკანოზი მამა ლევან ბაქრაძე, რომელიც უმაღლესის მთავრობის განკარგულებით და თვისის სურვილისამებრ დანიშნულია ხირსის წმ. სტეფანის მონასტრის წინამძღვრად. სახელად ეწოდა ლეონტი. კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო და მათ შორის სამღვდელოებაც. მწუხრ-ცისკარზედ ჰგალობდნენ ადგილობრივი მონასტრის მგალობელნი, ხოლო კურთხევის წინ საგალობელი „წმიდნი მამულნი განმიხვენ წყალობით" თვით მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ლეონიდმა იგალობა. მწუხრ-ცისკარი 5 საათზედ დაწყობილი საღამოს 8 საათზედ გათავდა. მეორე დღეს, კვირას, წირვაზედ თვისს ეკკლესიაში მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ აკურთხა მამა ლეონტი არხიმანდრიტად.

არხიმანდრიტი მამა ლეონტი, ერობაში ლევანი, ძე მღვდლის ზაქარია ბაქრაძისა და ძმა ჩვენის დაუვიწყარის ისტორიკოსის განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძისა, დაიბადა 1832 წელს, კურსი დაამთავრა ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1857 წელს და იმავე წლის 15 მარიამობისთვეს მიიღო მღვდლობა და გამწესებულ იქმნა სოფ. ძველ-გავაზში იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესიის მღვდლად. აქედგან 1861 წელს ბლაღოჩინის მოთხოვნილებით გადაყვანილ იქმნა ძაგაანის სამრევლოში (ინგილოებში). 1862 წელს ამასვე ჩააბარეს მთავრობის განკარგულებით სოფ. ტასმალინიც და განაგებდა ორს სამწყსოს. ამ წელს დაჯილდოვებულ იქმნა „ნაბედრენიკით". აქედგან 1875 წელს გადაყვანილ იქმნა სოფ. უჯარმაში (ტფილისის მაზრაში). 1878 წელს სამაგალითო სამსახურისათვის დაჯილდოვებულ იქმნა სკუთიით და 1879 წ. კამილავკით. 1882 წელს დანიშნულ იქმნა ბლაღოჩინად, რომლის სამსახურისათვისაც უწმ. სინოდისგან მიიღო მადლობა და კურთხევა 1883 წელს. ავადმყოფობისა გამო თვისისავე თხოვნით დაანება თავი ბლაღოჩინობას 1885 წელს. 188; წელს დაჯილდოვებულ იქმნა ოქროს გულისჯვრით. 1889 წ. გადაყვანილ იქმნა უჯარმიდგან სოფ. ხაშმში და 1892 წელს ისევე მიეცა ბლაღოჩინობა მესამე საბლაღოჩინო ოლქისა ტფილისის მაზრაში. 1896 წელს მიიღო დეკანოზობის ხარისხი. ამ სამსახურის განმავლობაში მამა ლეონტიმ დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა იმ მრევლისა, სადაც იგი ჰმსახურებდა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ გაზეთის პირველ ახალ ამბავში შეცდომით დაბეჭდილია, რომ „ვაი ჭკუისაგან" პროზად ილია წინამძღვრიშვილის ნათარგმნია. ეს პიესა ნათარგმნია ბ-ნ გიორგი ბეჟანის ძის წინამძღვრიშვილის მიერ.

ქალაქის საბჭო

25 იანვარი.

25 იანვარს ტფილისის ქალაქის საბჭომ განიხილა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ალექსანდრეს ბაღში, საზოგადოებისავე შენობის ჩრდილოეთ მხარეს, 31 საჟენი მიწა დაგვითმოს ქალაქმა ფარდულისათვის, სადაც სამიწადმოქმედო იარაღები უნდა გამოვფინოთ სოფლის მეურნეთათვის საჩვენებლადაო. ქალაქის გამგეობის წინადადების თანხმად, საბჭომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და ექვსის წლით დაუთმო ადგილი საზოგადოებას.

ამის შემდეგ საბჭოს მოხსენდა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში მჭედლობის მასწავლებლად ნამყოფის შტარკის თხოვნა. ბ-ნი შტარკი ამბობს თავისს თხოვნაში, რომ 15 წელიწადი ვმსახურებდი სახელოსნო სასწავლებელში და წარსულის წლის სექტემბრიდგან უადგილოთ დავრჩი, რადგან ჩემი ხელობის თანამდებობა გაუქმებულ იქმნაო; წელიწადში მეძლეოდა ჯამაგირად 800 მანეთი, რომლიდგანაც, რასა თქმა უნდა, ვერას გადავარჩენდი, და ამ ნაირად ეხლა ულუკმაპუროდ ვარო. ამიტომ ვსთხოვ საბჭოს დამინიშნოს ყოველ წლიური პენსიაო. საბჭოს სამოსწავლო კამისიას, ქალაქის გამგეობას და საფინანსო კამისიას დაედგინათ, ერთბაშათ მიეცეს ბ-ნ შტარკს 800 მანათიო. საბჭომ დაამტკიცა ეს დადგენილება.

ამავე კრებაზედ უნდა ამოერჩიათ ხორცისა და პურის გამსინჯველ კომისიის სამი წევრი, ხმოსანთ ა. ბ. ევანგულოვისა, ა. ა. ქალანთარისა და თავ. ნ. ზ. თუმანოვის ნაცვლად, რომელთაც ამას წინად უარი განაცხადეს კომისიის წევრობაზედ. საბჭომ ახალი წევრები არ აირჩია, ისევ იმათვე სთხოვა დარჩენა კომისიაში.

საბჭომ მოისმინა ხმოსნის კ. მ. ალიხანოვის განცხადება, რომ საფინანსო კომისიის წევრობას თავი უნდა დავანებო მოუცლელობის გამო და სხვა აირჩიეთ ჩემს მაგიეროა. ბ-ნს ალიხანოვს ბევრი ეხვეწა საბჭო ისევ დარჩენილიყო კომისიაში და თავისის ცოდნით და გამოცდილებით ხელმძღვანელობა გაეწია დანარჩენის წევრებისათვის, მაგრამ არ დასთანხმდა. ამიტომ ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს კანდიდატი დაესახელებინათ. მაშინ ლაპარაკი ჩამოვარდა, რომ ბ-ნი შესტაკოვი, რომელიც ამავე კომისიის წევრია, უთუოდ ჩქარა იქნება გამგეობის წევრად დამტკიცებული, და ბარემ ეხლავე ავირჩიოთ მის მაგიერიცაო. ახალს წევრებად არჩეულ იქმნენ ბ.ბნი ა. ა. ივანენკო და ლ. თ. ტიგრანოვი.

დასასრულ საბჭომ, ბ-ნ ა. ა. იოანესიანის სიტყვის შემდეგ, თითქმის ერთხმად უარ-ჰყო ქალაქის ლომბარდის გამგეს წინადადება იმის შესახებ, რომ გასასესხებელ ფულს 1°/₀ მოემატოსო. დანარჩენი შუამდგომლობა ლომბარდის გამგესი და აგრეთვე თავ. ნ. ი. არღუთინსკის წინადადება ლომბარდის ხარჯის შემცირების შესახებ საფინანსო კომისიას გარდაეცა განსახილველად.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბოსლევი, (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ოცი ვერსის მანძილზედ დ. ზესტაფონიდგან და უჭირავს ორივე ნაპირი მდინარე ყვირილისა. სოფელი მთა-გორიანია და ამიტომ ნიადაგს ისეთი ღონე არა აქვს, როგორც სხვა გაშლილს და ვაკე ადგილებში. მიწა ქვიშიანი და აყალოიანია და ეს თვისება მიწისა უფრო ამცირებს მოსავლის მოყვანას. მაგრამ ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო"; სწორედ ეს აყალოიანი მიწა ბევრს სარგებლობას აძლევს ბოსლეველებს. აქ ისეთის თვისების აყალოა, რომლიდგანაც კეთდება მშვენიერი მაგარი ჭური და კრამიტი. ამით აიხსნება, რომ ერთი მოსახლეც არ იქნება ბოსლევში, რომ ან ჭურის და ან კრამიტის კეთება არ იცოდეს. ღმერთმა კაი მოგცეთ, ეს ხელობა კარგს მოგებას აძლევდეს ბოსლეველებს, როდესაც საყოველთაოდ იმერეთში კარგი მოსავლის ღვინისა. მაგალითად, რადგან წელს კარგი მოსავალი იყო ღვინისა, ისეთი გასავალი ჰქონდა ჭურებს, რომ ათ ხაფიან ქვევრში მზად იყვნენ მიეცათ ოთხი მანეთი, მაგრამ ვერსად ჰშოულობდნენ.

ამ ხუთის წლის წინად გაიყვანეს ჭიათურის რკინის გზა, რომელიც შუა ბოსლევში გადის. იმედი გვქონდა, რომ ეს გზა რამე შემწეობას აღმოგვიჩენსო, გვეგონა, რომ რკინის გზის საშუალებით უფრო იოლად გადავიტანდით ადგილობრივ ნაწარმოებს სხვა ადგილებში, მაგრამ ეს იმედი გაგვიცრუვდა. თუმცა სადგური დაარსდა ბოსლევის სოფლის ბოლოზედ, მაგრამ იმ სადგურამდის მისვლა არ გნებავთ? თუ გადაფრინდება კაცი, თორემ ისე მისვლა შეუძლებელია. უწინ მშვენიერი გზა მისდევდა ყვირილის მარჯვენა ნაპირს, რომლის შემწეობითაც გადაჰქონდათ შავი ქვა ჭიათურიდგან ზესტაფონამდის; ეხლა კი ამ გზის ნაფუძვრიც არა სჩანს, ისე მოსპეს იგი რკინის გზის გაყვანის დროს. შეგვპირდნენ, რომ შუა ბოსლევში ბაქანს გავაკეთებთო, მაგრამ ეს დაპირება დაპირებადვე რჩება და მის სისრულეში მოყვანას არა ეშველა-რა.

სწავლა-განათლების მხრივ ეს სოფელი იმერეთის სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდება; აქ ორი სამრევლო სკოლაა დაარსებული, ერთი ყვირილის მარჯვენა და მეორე მარცხენა მხარეს. ზოგიერთებმა მოინდომა სამინისტრო სკოლის დაარსება და ზემოხსენებულ ორის სკოლის გაუქმება; ბევრი ღონისძიება იხმარეს ამ ვაჟბატონებმა, მაგრამ ჯერ ვერა გააწყეს რა.

ვინ არ იცის, რომ სკოლის დაარსება კეთილი საქმეა, მაგრამ კეთილად არ უნდა ჩაითვალოს იგი იმ შემთხვევაში, როდესაც მას მოსდევს გაუქმება ორის ან სამის სხვა სკოლისა.

ამ ჟამად ბოსლევში ძალიან მძვინვარებს ყვავილი. სენმა რამდენიმე სული იმსხვერპლა და კიდევ ბევრს იმსხვერპლებს, ღონისძიება თუ არ მიიღეს, ვისგანაც ჯერ არს, და ამცრელები არ დაჰგზავნეს სოფელში.

ბოსლეველი დათიკო

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას საგუბერნიო დაწესებულებანი. სამინისტრომ უკვე მიჰმართა გუბერნატორებს და მოსთხოვა სხვა-და-სხვა ცნობები ამ საგნის შესახებ.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, კუნძულ ჩელეკენზედ (კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის მახლობლად მდებარეობს) ნავთის მადნები აღმოჩენილა. მოსკოვში უკვე შემდგარა ამხანაგობა ამ მადნების საწარმოებლად. ამხანაგობას რამდენიმე მილიონი თანხა ჰქონია.

— 16 იანვარს, კიევის უნივერსიტეტში გარდახდილ იქმნა წლიური აქტი, როგორც ამ აქტზედ წაკითხულის ანგარიშიდგანა სჩანს, 1898 წელს უნივერსიტეტში შესულა 740 კაცი, მათ შორის 115 სხვა უნივერსიტეტებიდგან გადასულა და 540 გიმნაზიებიდგან. წლის განმავლობაში უნივერსიტეტიდგან გასულა სულ 762 კაცი, მათ შორის სწავლა დაუმთავრებია 422 კაცს. 1899 წლის პირველ იანვრისათვის უნივერსიტეტში ირიცხებოდა 2,606 სტუდენტი: საისტორიო და საფილოლოგო ფაკულტეტებზედ—68, ფიზიკო-მატემატიკურზედ—396, იურიდიულზედ 1,247 და სამკურნალოზედ—895 სტუდენტი. ამას გარდა თავისუფალი ყურის-მგდებელი ყოფილა 113 კაცი (მათ შორის 77 ფარმაცევტი), ასე რომ ამ უნივერსიტეტში მოსწავლეთა საერთო რიცხვი 2,719 კაცს შეადგენს. სარწმუნოებით ასე განაწილდებიან: მართლ-მადიდებელი—1596 კაცი, კათოლიკე—513, ებრაელი—498, ლუტრანი—78, სომეხ-გრიგორიანი—18, ყარაიმი—12 და მაჰმადიანი—2.

უცხოეთი

—

კრიტი. კრიტი როცა განთავისუფლდა ოსმალეთის მონობისაგან ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, პირობათ დადვეს, მონაწილეობა მიეღო იმ აუარებელ ვალის გარდახდაში, რომელიც ოსმალეთს აწევს კისერზედ. მაგრამ თანდათან აშკარავდება, რომ ეს საგანი ისე ადვილი არა ყოფილა, როგორც წინად ეგონათ გაზეთებს. ყველაზედ მომეტებული ვალი ოსმალეთს ინგლისისა მართებს. ინგლისის კრედიტორების წარმომადგენლის ბ-ნ ლოუს ანგარიშით, რომელიც „ოსმალეთის სახელმწიფო ვალების“ კასის საბჭოს წევრია, კრიტმა ოცის წლის განმავლობაში ყოველ წლიწადს უნდა იხადოს ოსმალეთის ვალების გასასტუმრებლად 50 ათას მანეთამდე. ლოუს უნახავს ბატონიშვილი გიორგი და შემდეგ სიფაკიანაკისთან მისულა. სიფაკიანაკისი არა თუ არ დასთანხმებულა ამ ფულის გარდახდაზედ, არამედ სრულიად უარი განუცხადებია იმის შესახებაც, რომ კრიტმა რაიმე მონაწილეობა მიიღოს ოსმალეთის ვალის გასტუმრებაში. როგორ გათავდება ეს საქმე, ჯერ არავინ იცის. ჰფიქრობენ, რომ საერთაშორისო სამედიატორო საბჭოს გარდაეცემა იგი განსახილველად.

— კრიტის გენერალ-გუბერნატორს, ბატონიშვილს გიორგის, აზრად ჰქონია უცხო ქვეყნებიდგან მოიწვიოს ოფიცრები ჟანდარმების რაზმთა გასაწვრთნელად, რომელნიც უთუოდ კრიტელებისაგან უნდა შესდგებოდეს. ამიტომ ბატონიშვილს უთხოვნია ოთხ დიდ სახელმწიფოს მთავრობისათვის, სამის წლის ვადით კარგად დახელოვნებული ოფიცრები გამომიგზავნეთო, რომელთაც შეეძლოთ მშვიდობიანობის დამყარება კუნძულზედო.

—

სერბია და ოსმალეთი. შარშან მაისში სერბიის წარმომადგენელმა კონსტანტინეპოლში პორტასთან საჩივარი განაცხადა, რომ სერბიის საზღვრებს მოსვენებას არ აძლევენ ალბანელები, და ღონისძიება იხმარეთო. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამისი პასუხი მიმდინარე იანვრის 17 გაუგზავნია პორტას სერბიის მთავრობისათვის. ოსმალეთის მთავრობა ამბობს თურმე თავისს პასუხში, რომ ისეთი ამბები, როგორიც ოსმალეთ-სერბიის საზღვრებზედ ხდებოდა და რომლის შესახებაც სერბიამ საჩივარი განაცხადა, ხშირს მოვლენას შეადგენს ევროპაში და არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვსო. ამიტომ ეხლაც არ შეიძლება ეს ამბები გაზვიადოთ და პოლიტიკური ხასიათი მიეცეთ, მით უფრო, რომ დამნაშავენი აქ სერბიელები არიან და არა ალბანელებიო.

—

ბოლგარია. როგორც უკვე ვიცით, ამ დღეებში გარდაიცვალა ბოლგარიის დედოფალი მარია ლუიზა. გაზეთების სიტყვით, განსვენებულმა დედოფალმა თავისს სიცოცხლეში თავისის ჭკუით, სიმშვიდით, თავმდაბლობით და კაცთმოყვარეობით ყველას სიყვარული და ღრმა პატივისცემა დაიმსახურა ბოლგარიაში. თავისს ქონებას იგი არა ჰზოგავდა ღარიბთათვის; ღარიბების გამო იგი თითონ ბევრს რასმეს იკლებდა თურმე. მოკლე ხნის განმავლობაში დედოფალს მშვენივრად შეუსწავლია ბოლგარული ენა. იმას პატივს სცემდნენ არა მარტო როგორც ბოლგარიის დედოფალს, არამედ როგორც კარგს ადამიანს. დედოფალი დიდი მოყვარული ყოფილა და კარგადაც სცოდნია მხატვრობა და მუსიკა.

1894 წელს, როცა ბორისი ეყოლა, დედოფალი ავად გამხდარა ხაშმის ციებით და ვენის გამოჩენილ ექიმებს ურჩევიათ მისთვის ხშირად ჰაერის გამოცვლა. შვარცაუში ყოფნას მშობლებთან და ებენტალში დედამთილთან დიდი სარგებლობა მოუტანია მისთვის. მაგრამ ექვსის კვირის წინად ინფლუენცია დამართია და ვენიდგან მოწვეულს პროფესორ ნეისერს ურჩევია მისთვის აბაციაში წასვლა, მაგრამ ეს დარიგება არ შეუსრულებია, რადგან, სამინისტრო კრიზისის გამო, ქმართან დარჩენა მოუწადინებია. ეხლა გაციებულა კიდევაც და ფილტვების ანთება მოსვლია, რასაც თან მოჰყოლია ვადამდე 20 დღით ადრე მშობიარობა. ვენიდგან ხელმეორედ დაუბარებიათ პროფესორი ნეისერი, მაგრამ საუბედუროდ იმას დაუგვიანია და დროზედ ვერ მიუსწრია ავადმყოფისათვის.

სასამართლოს მატიანე

აზნაურის დავით ზაალის ძის აბაზაძისა და მღვდლის შვილის მიხეილ კონსტანტინეს ძის სემიჩის საქმე.

გუშინ წინ, 25 იანვარს, ოლქის სასამართლოს სესსიამ ქ. გორში განიხილა აზნ. დავით ზაალის ძის აბაზაძისა და მღვდლის შვილის მიხეილ კონსტანტინეს ძის სემიჩის საქმე; გარემოება ამ საქმისა ასეა აღნიშნული საბრალდებლო ოქმში:

8 სექტემბერს 1898 წელს საღამოს 6—7 საათზე გორის მაზრის სოფ. ტეზერიდგან, სადაც იმ დღეს საეკკლესიო ობა იყო, თავიანთ სახლში, სურამში ბრუნდებოდნენ არუთინა გიორგის ძე ტიტუევი, აბგარ იაგორის ძე ბოგდანოვი და ივანე დიმიტრის ძე საძაგელოვი, რომელნიც ობაზე ხილსა ჰყიდნენ. სურამიდგან ორის ვერსის მანძილზე, ბეკამის მახლობლად დაუხვდნენ დავით ზაალის ძე აბაზაძე და მღვდლის შვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე სემიჩი, აბაზაძეს სიძე. აბაზაძემ და სემიჩმა ხანჯლები იშიშვლეს და ტიტუევსა და იმის ამხანაგებს ფული მოსთხოვეს. სემიჩმა რამდენჯერმე ხანჯალი შემოჰკრა საბანს, რომელიც ბოგდანოვს მხარზე ჰქონდა გადაგდებული და საბანი ორ ადგილას გასჭრა. ტიტუევი და იმისი ამხანაგები არწმუნებდნენ აბაზაძესა და სემიჩს, რომ თან ფული არა გვაქვსო. მაშინ სემიჩმა ჯიბეები გაუჩხრიკა ტიტუევს, 15 მ. და 60 კაპ. უპოვნა და ეს ფული წაართვა. ტიტუევი, ბოგდანოვი და საძაგელოვი სურამში წავიდნენ. ამის შემდეგ იმავე გზით გამოიარეს სოფ. ალის მცხოვრებმა მიხეილ გაბრიელის ძემ ნაზაძემ, თავისის ცოლით ანნათი; თან ახლდათ მოსამსახურე თათევოს ნაზაძე. ნაზაძეს კალათით თან მიჰქონდა ტეზერში გასასყიდად 31 წყვილი ჩუსტი. მიხეილ სემიჩი მივიდა ნაზაძესთან და დაუყვირა: „დადგი ეგ კალათაო“. ამავე დროს მოირბინა დავით აბაზაძემ და იმანაც ნაზაძეს იგივე შესძახა. თადეოზ ნაზაძემ კალათა გადააგდო, წავიდა სურამში და ყოველივე ეს მოახსენა მამასახლისს კიმერიძეს. აღნიშნულნი გარემოებანი შეამოწმეს გამოძიების დროს მოწმეებმა არუთინ ტიტუევმა, აბგარ ბოგდანოვმა, ივანე საძაგელოვმა და მიხეილ და თადეოზ ნაზაძემ და ანნა ნაზაძისამ. მოწმემ სოსო თევდორეს ძე ხაჩიძემ სთქვა, მეცა ვნახე გზაში სემიჩი და აბაზაძე, ორთავენი მთვრალები იყვნენო. სურამის მამასახლისმა ნიკოლოოზ კიმერიძემ რამდენსამე დღის შემდეგ სემიჩის ბაღში იპოვნა მიწაში ჩაფლული კალათა და 17 წყვილი ჩუსტი.

საქმის გარჩევის დროს აბაზაძემ და სემიჩმა უარი განაცხადეს, მართალია იმ დღეს ტეზერიდგან ჩვენს სახლში მივდიოდით, მაგრამ გზაში არავინ გაგვიძარცვავსო. სასამართლომ ორივე ბრალდებულნი უდანაშაულოდ და მართლად სცნო.

დამაკვირდი

უბედურს კაცს სხვის ბედნიერება ჰშურს.

* * *

ჭეშმარიტის სიყვარულით გამთბარი გული ისევე სუფთაა, როგორც მთის ყინული.

* * *

სიყვარული იქნება მართლა ოცნება და თავის მოტყუებაც იყოს, როგორც ბევრნი გაიძახიან, მაგრამ იგი რომ არა ყოფილიყო, ცხოვრება უფრო უფერული იქნებოდა.

ბ. დ—ლი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ ნიუ-იორკელი ბეკმანი ამ რამდენისამე თვის წინად ჩაჯდა ბოჩკაში, თან წაიყვანა თავისი ვაჟი-შვილი და გაემგზავრა ატლანტიის ოკეანეთი.

ბეკმანმა ეს ახირებული გემი თითონ გააკეთა. ბოჩკა სიგძით საჟენ-ნახევარი იყო და სიგანით ერთს საჟენზე ცოტა მეტი. ბოჩკას შემოკერილი ჰქონდა რკინის მუხრუჭები და გარდა ამისა გარშემო მრავალი ნიჩბები ჰქონდა. შიგ მჯდომი ბოჩკას ძლიერ სწრაფად ატრიალებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შუა გულ ბოჩკაში არის პატარა სკამი, რომელიც სრულიად არ იძვრის, ასე რომ რაც უნდა სწრაფად ტრიალებდეს ბოჩკა, შიგ მჯდომი ამას ვერც-კი შეატყობს.

ბეკმანი ზღვაში შეცურდა თავისის ბოჩკით რამდენისამე თვის წინად, და როგორც თითონ ამბობს, საოცარის სისწრაფით მიცურავდა, საათში 73 ვერსს. ეს სისწრაფე სწორედ საოცარია, თუ იმას გავიხსენებთ, რომ ჩვეულებრივი გემი საათში 9 ვერსზე მეტს ვერ გაივლის.

ვიდრე ზღვა წყნარად იყო, ბეკმანი და იმისი შვილი არხეინად მისცურავდნენ, მაგრამ ღელვა დაიწყო თუ არა, ბოჩკას ისე ისროდა, როგორც ბურთს.

საბედნიეროდ გზაში ერთი გემი შეჰხვდა და გემის უფროსმა ბეკმანი და იმისი შვილი გემზედ გადიყვანა. ბოჩკა-კი ვერ დაიჭირეს და იქნება ეხლაც ზღვაში დასცურავს და აშინებს გემების უფროსებსა და მოსამსახურეთ, რომელთაც არაფერი იციან ბეკმანის მოგზაურობის შესახებ.

* * *

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ესპანიის ქალაქის ბარსელონას მცხოვრებნი ამ ჟამად დიდს გაჭირვებაში არიან, რადგანაც ქალაქში არც ერთი ეტლი არა მუშაობს. მიზეზი ის არის, რომ მეეტლენი გაიფიცნენ. გაფიცვა-კი იმ ამბავმა გამოიწვია, რომ ფინანსთა მინისტრმა გარდასახადი მოუმატა ეტლებს. მეეტლეებმა ეს იწყინეს, გაიფიცნენ და ქუჩაში აღარც ერთი ეტლი აღარ გამოდის. უწესოებაც ბევრი მოხდა თურმე და რამდენიმე მეეტლე კიდეც დააპატიმრეს. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გარემოებამ ქალაქის მცხოვრებნი დიდად დააზარალა. მკურნალები იძულებულნი გახდნენ ფეხით იარონ ავადმყოფთან. მოგზაურნი დიდს გაჭირვებაში არიან, რადგანაც ბარგის გადატანა გაძნელდა სასტუმროში. დიდ-კაცობაც დიდს გაჭირვებაშია. მეფის ალფონსის დაბადების დღეს მთავარსარდალთან მეჯლისი იყო და იქ მყოფნი იძულებულ იყვნენ დიდს წვიმაში ფეხით წასულიყვნენ თავიანთ სახლებში.

დეპეშა

25 იანვარი.

პარიჟი პალატის კომისიას გარდაეცა დამატებითი გამოძიება, რომელიც მაზომ მოახდინა. გამოძიების დასკვნა საკეთილოა სასამართლოს წევრების ლევისა, ბარისა და ღიუმასთვის. რა გარდაწყვეტილებას დაადგება კომისია მთავრობის პროექტის შესახებ, ძნელია ამისი თქმა.

კროსენ სკირენ. გარდაიცვალა იმპერიის კანცლერად ნამყოფი გრაფი კაპრივი. გრაფი დიდი ხანი იყო ავად.

ვაშინგტონი. გენერალი ოტისი დეპეშით იუწყება მანილიდგან, რომ საქმის მდგომარეობას არა უშავსრა და არავითარი საბუთი არა გვაქვს გვეშინოდეს რისიმე. ქალაქსა და მიდამოებში მყუდროება სუფევს. სანიტარული პირობები კარგია და ჯარიც ძლიერ კარგს გუნებაზედ არის. კვირას, დილით, მეოთხე საათზედ, ბრძოლა გვქონდა. მტერი რამდენჯერაც-კი დაგვესხა თავს, ყოველთვის უკუვაქციეთ. განთიადისას ამერიკის ჯარი თავს დაესხა მტერს და მეამბოხენი წრეს გადაღმა გარეკა, რომელიც პირველად მათ ეჭირათ, და ამასთანავე რამდენიმე სიმაგრე დაიჭირა. ბრძოლაში დიდს მონაწილეობას იღებდა ფლოტი, რომელიც ყუმბარებს უშენდა მტრის ჯარს. ამერიკის ჯარები დიდის სიმამაცით იბრძოდნენ. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ ომში გამარჯვება საზოგადოდ ამერიკის ჯარს დარჩაო.

26 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი იმპერიაში შავის ჭირის შემოტანის საწინააღმდეგოდ საბრძოლველ კომისიის თავმჯდომარის პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგის სახელობაზედ. პრინცს გამოეცხადა უმაღლესი მადლობა შრომისათვის.

პარიჟი. საკასაციო პალატამ, ვითარცა მაგისტრატურის უმთავრესმა საბჭომ გადასწყვიტა გამოძიებულ იქმნას საქმე ვერსალის სასამართლოს წევრის გროჟონისა, რომელმაც მიჰმართა წერილით ლებრეს და ამ წერილით ბრალსა სდებდა სისხლის სამართლის პალატის წევრთ დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვის გამოძიებაში პირმოთნეობა გამოიჩინესო.

მერონი. მარტინსბურგში გარდაიცვალა მემკვიდრე პრინცი საქსენკობურგ-გოტისა.

პარიჟი. დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვის კომისიამ მოისმინა დღეს დიუპუი, რომელიც დაბეჯითებით სთხოვდა კომისიას შეიწყნაროს პროექტი და ისიც რაც შეიძლება მალეო. კომისია შეეკითხა დიუპუის, შესაძლებელია თუ არა გამოძიებულ საბუთების გამოქვეყნებაო. დიუპუიმ უპასუხა, თუმცა არც თუ ძლიერ მოსახერხებელ საქმედ მიმაჩნია გამოქვეყნება ამ საბუთებისა, მაგრამ სრულს თავისუფლებას ვაძლევ კომისიამ, რომელმაც თითონ უნდა აგოს პასუხიო. საბუთის ქაღალდების შინაარსი უნდა დაიბეჭდოს და დეპუტატებს დაურიგდეს. დიუპუის წასვლის შემდეგ კომისიამ 9 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 2 ხმისა უარჰყო პროექტი და საქმის მოხსენება დაავალა რენო მორლიერს, რომელიც მოხსენებას ოთხშაბათს წარადგენს. ერთხმად იქმნა გარდაწყვეტილი გამოვაქვეყნოთ საბუთის ქაღალდებიო. საქმის მომხსენებელი ოთხშაბათს მოითხოვს, რომ პალატამ განხილვა საქმისა პარასკევისათვის დანიშნოს.

პარიჟი. დიუპუის დაეკითხნენ კომისიის გარდაწყვეტილების შესახებ და მან სთქვა, რომ მთავრობა დაეკითხება პალატას გვენდობით თუ არაო და უარჰყოფს ყოველგვარ წინადადებას, რომელსაც სახეში ექმნება კანონის ხასიათის შეცვლა.

პარიჟი. კომისიის ბჭობამ ძლიერ ცოტა ხანს გასტანა. მთავრობის პროექტის მოწინააღმდეგე ცხრა კაცმა განაცხადეს, რომ პროექტს კავშირი აქვს მაზოს გამოძიებასთან და რადგანაც გამოძიება საბუთიანი არ იყო, ამიტომ პროექტიც უნდა უარვყოთო.

ლონდონი. ამტკიცებენ, ხვალ სეფე სიტყვაში აღნიშნული იქმნება მშვიდობიანობის სურვილით სავსე დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან, სუდანში მომხდარი ბრძოლა და გამოცხადებულ იქმნება იმედი, რომ კრიტის საქმე კმაყოფილად დასრულდებაო. შემდეგ მოხსენებული იქმნება, რომ რუსეთის იმპერატორი მიწვეულ იქმნეს სამშვიდობო კონფერენციაზე, გამოცხადებული იქმნება დიდი მწუხარება ავსტრიის იმპერატრიცის მოკვლის გამო და გარდა ამისა აღინიშნება, რომ ინგლისს შესაძლებლად მიაჩნია ინგლისის კანონდებულება შესცვალოს ანარქისტების შესახებ.

ვაშინგტონი. სენატმა შეიწყნარა ზავის ხელშეკრულობა სამის ხმის უმეტესობით.

წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ „კვალის“ რედაქტორს ქ-ნ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, რადგანაც მან მთელის წარსულის წლის განმავლობაში „კვალი“ უსასყიდლოდ გვეგზავნა.

ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოსწავლეების მინდობილობით იონა ბელიაშვილი

Дозволено цензурою, Тифлисъ 26 го Января 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე